№ 268
შაბათი, 11 დეკემბერი 1893

1877—1893

ივერია

№ 268
შაბათი, 11 დეკემბერი 1893

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—ხასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ГАЗЕТИ ДНІВ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

† ალექსანდრე ყაზბეგი

გუშინ, ათს საათზედ, დილით გარდაიცვალა მიხეილის სამკურნალოში ალექსანდრე ყაზბეგი.

ხანგრძლივისა და უიმედო ავად მყოფობის შემდეგ ძლივს-და ედირსა ეს ტანჯული კაცი საუკუნო განსვენებას. ასეთს მდგომარეობაში სიკვდილი ღვთის წყალობაა და ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია სამწუხაროდ და სატირლად, რომ ჩინებული მწერალი და დამასურათებელი თავის სამშობლოს ცხოვრებისა აღსრულდა ისე, რომ თავისის ნიჭისა და მოდგაწეობის თაყვანის-მცემელთა ცნობაც-კი ადარ შეეძლო.

ალექსანდრე ყაზბეგის მნიშვნელობა ქართულის მწერლობისათვის სახელოვანია და ნაყოფიერი. იქნება არც ერთი ქართველი მწერალი მეცხრამეტე საუკუნისა არა ჭდირსებია ყაზბეგისთანა დიდს ასპარეზს. ყაზბეგის „მოძღვარი“, „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“ უძვირფასესს განძს შეადგენს ჩვენს ლიტერატურაში!

საფუძვლიანი და გულ-დასმული დაფასება საკვირველის მწერალისა მომავალის კრიტიკის საქმეა.

ჩვენ მხოლოდ აქ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ყაზბეგის ოდენი მკითხველი—მკითხველი გატაცებული, გულ-აკანკალებელი,თვალ-ზედ ცრემლ-მორეული და აღელვებული—არც ერთს ქართველს ავტორს იქნება არა ჰყოლია.

ყაზბეგი თანასწორად გასაგები და საყვარელი მწერალი იყო ყველასათვის განურჩეველად. „მოძღვარის“ ავტორმა თანასწორად იცოდა საიდუმლო თავადისა და გლეხისა. შეურაცხებით აღგზნებული გრძნობა ადამიანისა, გატაცებული სიყვარული, შურის-ძიება და სიბრალული, დახატული ყაზბეგის მიერ, ერთ ნაირად იგაფავს გზას კაცის გულისაკენ—დარბაზში სცხოვრობს ეს კაცი, თუ ქოხში.

მაგრამ როდესაც ამ ცხოველს ნიჭს ცხოვრების დასურათებისას საგუძვლად და მცნებად აქვს სამშობლოს უანგარო სიყვარული, რაიცა განსვენებულს უხვად ულვიოდა გულში, მაშინ ადვილი მისახვედრია, რომ ასეთს მწერალს დიდი და გასაოცარი გავლენა უნდა ჭქონდეს მკითხველზედ.

ჩვენს დროში ალექსანდრე ყაზბეგი სრულიად განცალკევებული სდგას. იგი არის განხორციელებული იდეა, იდეა მადალი და ნათელი. განმსჭვალული სამართლიანობის გრძნობით და სამშობლოს სიყვარულით, ყაზბეგი მხნედ და საკვირველის სიმართლით ჭხატავს ყოველთვის ამ სამართლიანობისა და ამ თავისუფლების გადალახვისა და შებდალვის სურათს. აქ, ამ სფერაში, როდესაც თავისუფლების მოყვარული, ლაჯი და უშიშარი მოხევე ებრძვის ძალ-მომრეობას, ყაზბეგი მართლა რომ გასაოცარია და ყოვლად შეუდარებელი.

ჯერ, როცა ხარბს დედამიწას არ მიუდია განსვენებულის ყაზბეგის საუკუნოდ გაციებული გვამი, ძნელია იმის ნიშნისა და მამულის წინაშე ფაფალის სრული დაფასება. ხოლო უეჭველია, რომ ეს ნიჭი და ფაფალი იყო ჩვენის აწმყო ლიტერატურის შვენება. ყაზბეგი იყო ჩვენის დროის უპირველესი ქართველი ბელლეტრისტი, რომელმაც ნამდვილის ქართულის ფერადებით შეამკო და ცოცხლად წარმოგვდგინა თვალ-წინ ჩვენის ერის სულის კვეთება, შეუდარებელის კალმით დაგვიხატა ჩვენის ქვეყნის გასაოცარი სიტურვენი და ზოგისაგან აბუჩად აგდებული, თითქოს ველურ მთიულის ყოველად უბრალო ტანისამოსს ქვეშე მძეგრალი განუდრეკელი სიმხნე და თან ქალწულებრივი სინაზე - სინაზრარე, რაინდული ფ-რსება და კაცური კაცობა.

იმის ნაწერის ყოველი სტრიქონი განმსჭვალულია სამშობლოსა და მოძმის უმაღლესის სიყვარულით, იმ გრძნობით, რომელიც კაცობრიობისა და ცივილიზაციის საუკეთესო სამკაულია. სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ ყაზბეგის სახელითო, რომელიც არ დაავიწყდება ქართველს ერს, ვიდრე ცოცხალი იქნება ქართული ენა.

ბევრს მოელოდა კიდევ იმისაგან მშობლიური ლიტერატურა, მაგრამ უწყალო ბედმა უდროოდ დაადუმა სულითი ტანჯული მწერალი, რომლის სიცოცხლე რამდენისამე წლის განმავლობაში, ჩვენდა სამწუხაროდ, იყო მარტო ოდენ საცოდაობა. სიკვდილი ხსნაა ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანისათვის.

განისვენე სვე-უბედურო ალექსანდრე! საუკუნოდ იქნება შენი სახელი დამარხული შენის სამშობლოს გულში!..

მეველე

ალექსანდრე ყაზბეგს

შკილო ტანჯულის ქვეყნისავ,
სული დაჭეიე ტანჯვითა,
მოუხვალ მამა-პაპათა
ამოღებულის ხანჯრითა,
ცრემლად დამდნარის გულითა,
დაღლილი მტრისა ჯავრითა!..
ჯ ვრი ტანს ნაბადად ეეხვევა,
ცრემლი მიგყვება საგძლადა
და ტრფობა შენის ქვეყნისა
უქმს და ხელ-უყრელს აბჯრადა.
თავს დგმული ეკლის გვირგვინი
ფერხთ წინ დ უკდე გმირებსა,
მ.მულისათვის გამწყდართა
იმ საქართველოს შვილებსა.
ცოცხლად იმედით მცხოვრებო,
გთხოვ იმათაც სცე ნუგეში!
პირობა ქართველებისა
ვგონებ მიგყვება უბეში!..
უჩვენე შენი კალამი,
ნაწვები სისხლის გუბეში!..

ვაჟა-ფშაველა

ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი

(მოგონება)

ეს-კი იყო გავიგე სიკვდილი ჩვენის ქვეყნის უკვდავის შვილისა. ამ ამბავმა შემაძრწუნა, აღმაშფოთა და ცრემლი დაუკითხავად მოუგუბდა თვალთა. გარდა მისის სამწერლო მოღვაწეობისა ჩემთვის კერძოდ ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი) სხვაფრივაც არის დალანანი, და სწორედ ამის გამო უფრო აღმაშფოთდა გული. პირველად გავიცანი განსვენებული 1881 წლის დეკემბერში. ამ დროდან მოკიდებული მთელი სამი თვე ვსცხოვრობდით მე და განსვენებული ერთად, ერთს ოთახში, გოლოვინის პროსპექტზედ, ეზრან-ბატონის სასახლის მაღლა მეზონინში; ამ დროს „დროების“ რედაქცია, წამებულის განსვენებულ ს. მესხით, იმყოფებოდა იმავე შენობაში, ჩვენის მეზონინის დაბლა. ამ დროს, პირველ იანვრიდან განსვენებული სანდრო (ასე ვეძახდით განსვენებულს) სწერდა „დროებაში“ „მამის-მკვლელს». ამავე იანვარში დამზადდა და პირველად ითამაშეს ქართულ სცენაზედ განსვენებულის დრამა «არსენა». სამი თვე ჩემის ცხოვრებისა განსვენებულთან ერთად განვლილი მრავალ მოგონებას წარმომიდგენს ამ ჟამად თვალ-წინ და ამ მოგონებათა გაზიარებას მკითხველ საზოგადოებასთან ვსთვლი ჩემ წმიდა მოვალეობად.

განსვენებული მეტად გულ-ჩათხრობილი, მუდამ თავ-დაკიდული და მობუზული იყო შინ, თუ გარეთ მოსიარულე. სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ შეამჩნევდა ადამიანი, როდესაც განსვენებული სცენაზედ სათამაშოდ ემზადებოდა და წვიდოდა შინიდან: ამ დროს განუწყვეტელს ფაცი-ფუცში იყო, ხან იქით აწყდებოდა, ხან აქეთ,—სჩხრეკდა თავის რვეულებს, ჰწლიდა და ჰფურცლავდა წიგნებს; ინიშნავდა პატარა წიგნაკში რაღაცებს, ხან კარანდაშით, ხან კალმით. ტანისამოსს ისუფთავებდა და ისწორებდა სარკეში, ერთის სიტყვით, უმისოდ უსუფთოობასა და არეულობას ჩვეული, ეხლა თითქოს

ნებულიყო გამარჯვებული: ამით ხალხი დაებრმავებინა და რიხიანად არჩეულ ყოფილიყო ბანკის მმართველად კიდევ სამის წლის ვადით, რომ მერე სამის წლის განმავლობაში ისევ არაფერი ეკეთებინა. მართლაც მხოლოდ ამ 1893 წლის თებერვლის ნახევარ რიცხვებში გაემგზავრა პეტერბურგს.

ამ გვარად, ბ-ნი ჩიკვაიძე სამის წლის განმავლობაში აბრკოლებდა ამ საქმეებს და ამ დროს-კი მრავალი ბათუმის მამული დაგირავდა ტფილისის ბანკში და ძლიერ ბევრი ქუთაისის მამული გადავიდა იმავე ბანკში. სხვები ჯერ კიდევ იცდიდნენ, იქნება ქუთაისის ბანკმაც ჩქარა მიიღოს ხანგრძლივ ვადიან სუსხის გაცემის უფლებაო. დრო გადიოდა, საზოგადოება მოუთმენელად ელოდდა ბანკის საქმეების გადაწყვეტას პეტერბურგში და ბ-ნ ჩიკვაიძისგან-კი არავითარი ნამდვილი ცნობა არ მოდიოდა. ამბობდნენ, რომ ვითომ გამგეობას მიეღოს დეპეშა, რომლითაც ბ-ნი ბანკის მმართველი პეტერბურგიდგან ეკითხებოდა გამგეობის წევრთ, ჩვენს ბანკს რამდენი ძირის თანხა აქვსო. შაბაშ მის ბანკის საქმეების ცოდნასა!

გავიდა ორი თვე. მოახლოვდა კენჭის ყრაც. ამ დროს პეტერბურგიდგან მოვიდა ბ-ნ ჩიკვაიძის დეპეშა, რომელშიაც იწერებოდა, ვითომდა ყოველივე საქმე მოვაწყეო. „კრედიტი მოგვიმატეს 200,000 მანეთისაო, ესე იგი, ნაცვლად წინანდელის სამასის ათასის მანეთისა წელიწადში ხუთასის ათას მანეთის გაცემის ნება მოგვცეს“-ო, იწერებოდა ბ-ნი ჩიკვაიძე: „ვადები გაგვიხანგრძლივესო და ყველა წარმოდგენილ სუსხის ჟურნალები ნება-დართულიაო. მხოლოდ ბათუმის მამულების დაგირავების შესახებ ჩვენს ბანკში მთავარ-მმართებელს ეკითხა აზრიო. მოვდივარ და ქალაქდები თან მომაქეს“-ო. ბ-ნ ჩიკვაიძის აგენტები ავრცელებდნენ ხალხში ამ დეპეშის შინაარსს; მსესხებლები, რომელთაც ქუთაისის ბანკიდგან მამულების გადატანა ეძნელებოდათ, გახარებულნი იყვნენ; საზოგადოებას არავითარი ეჭვი არა ჰქონდა ბ-ნ ჩიკვაიძის დეპეშის შესახებ. ახალის ვადით სესხის გატანის მსურველთ კიდეც შეჰქონდათ თხოვნა გამგეობაში. ეტყობოდა-კი, რომ თვით გამგეობის წევრნი არ ენდობოდნენ სრულიად და სავსებით ბ-ნ ჩიკვაიძის დეპეშას. ეს იქი-

ფელეტონი

რა დააშავა ბ-ნ კალ. ჩიკვაიძემ

წერილი მეორე

(დასასრული *)

მესამე მოთხოვნილება ჩვენის ბანკისა იყო კრედიტის მომატება. ერთ-ხანად ჩვენს ბანკს აღკრძალული ჰქონდა სესხის გაცემა და მაშინ ბანკი თითქმის გაუქმებულსავით იყო. მხოლოდ 1886 წ. ჩვენს ბანკს გაეხსნა კრედიტი და მიეცა უფლება წელიწადში მხოლოდ სამასის ათასის (300,000) მანათის სესხის გაცემისა. მაგრამ ეს კრედიტი ძლიერ მცირე არის ჩვენის ბანკისათვის, რადგან მოთხოვნილება მეტია. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ამ სამასს ათას მანათს ბანკი წლის პირველ თვეებშივე გასცემს და მერე წლის ვანმავლობაში აღარ შეუძლიან სესხის გაცემა; რასაკვირველია, ბანკისათვის ის არის კარგი, რაც მეტს სესხს გასცემს, რაც მეტია მისი კრედიტი. ახლა ჩვენი ბანკი უნდა ცდილიყო, რომ მიეღო უფლება მეტის სესხის გაცემისა, გაეგრცელებინა თვისი კრედიტი. სასურველი იყო, რომ ბანკს ამ მხრივ რაც შეიძლება მალე აეცილებინა თავიდგან ეს დაბრკოლება.

ბ-ნ ჩიკვაიძის მოვალეობა იყო, თუ ცოტათი მაინც შესტკიოდა ბანკისათვის გული და ესმოდა მისი ინტერესი, ყურადღებით მოჰპყროდა ამ საგნებს და ემეცადინა მათის სასურველად გადაწყვეტისათვის. მაგრამ ეს ბანკის მოთხოვნილებანი სრულებით უყურადღებოთ დარჩა ბ-ნ ჩიკვაიძის მხრივ. 1890 წლის კრების გადაწყვეტილებანი არამც თუ სამინისტროში არავის წარუდგენია დასამტკიცებლად, მგონი სრულებით ჩაწერილნიც-კი არ ყოფილან. შემდეგის წლის კრებამ კვლავ მიაქცია ამ საქმეებს ყურადღება და დაავალა გამგეობას, ახლა მაინც წარუდგინე სამინისტროს კრების აღნიშნულნი გადაწყვეტილებანი, იქნება ნება-რთვა დროზე მივიღოთო, მაგრამ ბ-ნ ჩიკვაიძეს არც ახლა გაუნძრევია ხელი. ამ დროების განმავლობაში ქუთაისის დიდ-ძალი მამულები გადავიდა ტფილისის ბანკში, რადგან ამ ბანკმა უკვე მიიღო ხანგრძლივის ვადით სესხის გაცემის უფლება. კიდევ ბევრი ქუთაისის მემამულე აპირებდა თავიანთ მამულების ტფილისის ბანკში გადაგირავებას. მაშინ ქუთაისის ბანკის გამგეობამ დაინახა, რომ საქმე ცუდად მიდიოდა და წარსულის 1892 წლის დეკემბერში გადაწყვიტა წარედგინა სამინისტროსათვის კრების გადაწყვეტილებანი შესახებ ზემო აღნიშნულ ცვლილებათა. ამასთანავე გამგეობამ დაადგინა გაეგზავნა პეტერბურგში ამ დაგვიანებულ საქმეების დასაჩქარებლად მმართველი ბანკისა ბ-ნი ჩიკვაიძე.

მაგრამ, როგორც სჩანს, თვით ბ-ნ ჩიკვაიძეს არ ესმოდა მნიშვნელობა იმ მინდობილებისა, რომელსაც ავალებდნენ. მან მიიღო ბანკიდგან გზის ფული და სახარჯო, მაგრამ პეტერბურგში-კი არ ეჩქარებოდა, როდესაც ყველას წასულიც ეგონა, ის კიდევ აქ დარბოდა თავისსა თუ სხვის საქმეებზე. სჩანდა, ძლიერ მსუბუქად უყურებდა ამ საქმეებს, რომელთ დაგვიანებით ბანკს ასი ათასობით სესხი ეკარგებოდა. როგორც ყოველისფრით, პეტერბურგში წასვლითაც ჰფიქრობდა თავისი პირადი საქმე რამ მოეგვარებინა. ის ჰფიქრობდა კენჭის ყრის წინად წასულიყო პეტერბურგში, ვითომ საჩქაროდ მოეწყო საქმე და კენჭის ყრისათვის დაბრუნებულიყო გამარჯვებული: ამით ხალხი დაებრმავებინა და რიხიანად არჩეულ ყოფილიყო ბანკის მმართველად კიდევ სამის წლის ვადით, რომ მერე სამის წლის განმავლობაში ისევ არაფერი ეკეთებინა. მართლაც მხოლოდ ამ 1893 წლის თებერვლის ნახევარ რიცხვებში გაემგზავრა პეტერბურგს.

ამ გვარად, ბ-ნი ჩიკვაიძე სამის წლის განმავლობაში აბრკოლებდა ამ საქმეებს და ამ დროს-კი მრავალი ბათუმის მამული დაგირავდა ტფილისის ბანკში და ძლიერ ბევრი ქუთაისის მამული გადავიდა იმავე ბანკში. სხვები ჯერ კიდევ იცდიდნენ, იქნება ქუთაისის ბანკმაც ჩქარა მიიღოს ხანგრძლივ ვადიან სუსხის გაცემის უფლებაო. დრო გადიოდა, საზოგადოება მოუთმენელად ელოდდა ბანკის საქმეების გადაწყვეტას პეტერბურგში და ბ-ნ ჩიკვაიძისგან-კი არავითარი ნამდვილი ცნობა არ მოდიოდა. ამბობდნენ, რომ ვითომ გამგეობას მიეღოს დეპეშა, რომლითაც ბ-ნი ბანკის მმართველი პეტერბურგიდგან ეკითხებოდა გამგეობის წევრთ, ჩვენს ბანკს რამდენი ძირის თანხა აქვსო. შაბაშ მის ბანკის საქმეების ცოდნასა!

*) იხ. „ივერია“, № 267.

სადღესასწაულოდ ემზადებოდა. განსვენებული მეტად დაუდევარი იყო თავის თავისა და ოდნავაც არ უფრთხილდებოდა; ამის ნაცვლად იგი იყო გატაცებული თეატრის საქმით და მწერლობით. დილით რომ გავიდოდა ოთახიდან განსვენებული, უნდა გენახათ მისი ავლა-დიდება რა ყოფაში იყო ხოლმე: ქვეშ-საგები ირეულ-დარეული, აყრილ-დაყრილი, წიგნები და ქაღალდები აქა-იქ გაფანტული, საწერ სტოლზე ისე იყო ყოველივე მირეულ-მორეული, გეგონებოდათ პატარა ბავშვებს უთამაშნიათ აქ, უცელქნიათ და თავი ასე დაუნებებიათო. შემოვიდოდა მოსამსახურე (შვეიცარიის ნომრებისა მაშინ) და შემოჰკრავდა ხელს თავის ქნევითა: „რა ღვთის წყრომაა, როდის უნდა მივალაგ-მოვალაგოვო. თუ შინ დახვდებოდა სანდრო, მოსამსახურეს ბუზღუნებედ გაიცინებდა და ანუგეშებდა ხოლმე: „არა უშავსრა, ჩემო ფილიპე, რა ვქნა, ეგრე მომიხდება ხოლმე; მიალაგ-მოალაგე და საჩუქარს მიიღებ“. ერთხელ კნ. ნინო ორბელიანისა შემოვიდა დილით. განსვენებული ისევ ლოგინში იწვა და ამერიკის მთიელებზედ წიგნს Законы линча-ს კითხულობდა. კნეინა ნინოს შემოსვლა არამც თუ გაიგო განსვენებულმა, არამედ კარგა ხანს თავ-წამდგარი კნეინა შედგა და უყურებდა გაშტერებული—ან ახლა მოიხედავს, ან ახლაო. თქვენც არ მომიკვდეთ: განსვენებული ისე გულ-დადებით კითხულობდა მთიელების თავ-გადასავალსა, რომ ვიდრე კნეინამ წიგნს ხელი არ შეახო, ვერა გაიგო-რა.

— რა დაგემართა, სანდრო! რა არის ესე მირეულ-მორეულობა? ეგ რა წიგნსა კითხულობ ეგრე გატაცებული?

— უჰ, ნინო, შენ! მე რა საკითხავი ვარ, რომ მკითხულობ? ვგდივარ ესე ბერულად; სახლს რა ლაზათი აქვს უდედაკაცოდ! თუ არ მოგწონს ესე არეკ-დარევა, ინებე და მიალაგ-მოალაგე, ვინ გიშლის! ამ ხუმრობამ ხუმრობა გამოიწვია და გეება მუსაიფი.

იმ ხანებში ბენეფისი იყო განსვენებულისა, ვგონებ „დილა ქორწილის შემდეგ“-ს ადგენდნენ და სხვა საჩუქართა შორის მშვენიერი სტოლზედ დასადგმელი საათი მიართვეს საჩუქად თეატრში. ამ საათს შეეხროდით ორივე, გვედგა სტოლზედ და მისს რაკა-რუკას გაჰქონდა და გამოჰქონდა ყურები. იმავე ხანებში ბათუმიდან ვიღაცაც მოუყვანია განსვენებულს საჩუქრად პატარა მაიმუნი «ჟაკო», მეტად გაეშაკებული და მახხარა. აი ის ჩვენი, ინვრის დიდ ლმეებში და ღრუბლიან დღეებში—ერთად-ერთი ნუგეში საათი ცელქმა „ჟაკომ“ გადმოაგდო ძირს და დამატვრია, აიმართა ორ ფეხზედ და ხიხინს მოჰყვა. მე წამოვხტი გაჯავრებული და კარგი სილა ვტაეეე „ჟაკოს“ და ძირს გადმოვუძახე. თავის მხრივ გამწვავებული ჟაკო მომახტა მკლავზედ და ღრენა დამიწყო (კბილები არა ჰქონდა). განსვენებულს ისე ეწყინა ჟაკოს გამწვავება, რომ მე გამიწყრა დიდად და გაჯერეულებულ ჟაკოს კოცნა დაუწყო.

პ. ცხვილოელი

(შემდეგი იქნება)

დამაკვირდი

—

ბენიოსს დანაშაულად არ ჩაეთვლება, რომ ათასი რამ არ იცოდეს, რაც უბრალო მოსწავლემაც-კი იცის. ამის სამდიდრეს ის-კი არ შეადგენს, რასაც მეხსიერება ჭკვრებს, არამედ ის, რაც მას საკუთარ გრძნობას ძვირფას სალროდგან ამოაქვს.

ლესსინგი

**

ჯერ ქვეყნად ბენიოსი არ ეოფილა, რომ ოდნავ ჯკუიდგანაც არ იყოს შეშლილი.

სენეკა

**

ნაკეერი ადამიანი სულ არა სცდილობს ფერ-უმარილით გაალამაზოს თავი, რადგან იგი ბუნებითვე ლამაზი და მშვენიერია.

აუერბახი

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

ვერც-კი მოასწრო ქართველმა საზოგადოებამ „ივერიის“ გუშინდელ ნომერში ამოეკითხა სამწუხარო ამბავი ჩვენი სასიქადულო მწერალი, ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩხუბარიძე), სიკდილის პარას არისო; ვერც-კი მოასწრეს ნათესავ-მეგობრებმა და მისის ნიჭის პატივისცემლებმა მისულიყვნენ საყვარელ კაცთან, რომელიც სასიკოცხლო ალარ იყო, რომ უკანასკნელად, ერთხელ კიდევ მაინც ენახთ, რომ დღეს, დილის ათ საათზედ, მთელს ტფილისში სისწრაფით გავრცელდა ფრიად სამწუხარო და საზარო ამბავი „ყაზბეგი გარდაიცვალაო“.

ეს ამბავი არც ისე მოულოდნელი იყო ქართველ საზოგადოებისათვის... სამს წელიწადზედ მეტია, რაც ყაზბეგი მიხეილის სამეურნეოს სულითავადმყოფთა განყოფილებაშია, სამი წელიწადია, რაც ქართველებისათვის, მწერლობისათვის იგი მკვდარია,—და ყაზბეგის მაგიერ მხოლოდ ლანდილა არსებობდა მისი და ისიც, დღეს თუ ხვალ, უნდა გამქრალიყო ჩვენთვის. განქრა კიდეც... დიაღ, ალარ არის დღეს ალექსანდრე ყაზბეგი, ეს ოდესმე ჯანითა და ლონით სავსე, ნიჭით ძლიერი კაცი. მისმა აგებულებამ, გამაგრებულმა მის საყვარელ ხვეის ჰაერით, ვეღარ შეუძლო დაუნდობელს, უკურნებელს, გულ-ქვა სენს, რომელსაც დიდხანს ებრძოლა. სამი წელიწადი იბრძოლა განსვენებულმა. მკურნალთა თვისი მეცადინეობა ზედ დაასრულეს, მაგრამ ვერას გაჰხდნენ და სენს ვერა მოუხერხეს-რა.

8 ამ თვეს საღამოზედ რამდენჯერმე გულის-წუხება მოსვლია; მერე, მთელი ღამე ხან-დასმით, ოდნავ, კიდევ ჩავარდებოდა ხოლმე თურმე ასეთს მდგომარეობაში. გუშინ-წინ საღამოსაც გული კიდევ შესწუხებია რამდენჯერმე. ენა, რაცა ხანია, ჩავარდნილი ჰქონდა. მხოლოდ ერთმარცვლოვან სიტყვებს თუ წარმოსთქვამდა დიდის წვალებითა და ტანჯვით; ნერწყვს ვეღარა ჰყლაპავდა. გრძნობაც დაჰკარგა. გუშინ, 10 დეკემბერს, დილის ხუთს საათს აქედ სულთ-მობრძავი გახდა. მღვ. მამა ვ. კარბელაშვილმა სულთ ბრძოლის ლოცვა დაიწყო ძვირფას ავადმყოფის ლოგინთან, გაათავა, და ჩვენმა ძვირფასმა მ[illegible]ღვაწემ, სახელოვანმა მწერალმაც დაასრულა თავისი მრავალ-ტანჯული სიცოცხლე, საუკუნოდ დაჰხუმა თვალები, საუკუნოდ ჩაუწყდა ხმა, რომელიც ასე გრგვინავდა სიცოცხლეში...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო, თავ-დადებულო, დაუღლავო მოღვაწეე!..

თ. სახოკია

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

*** კვირას, 12 დეკემბერს, დანიშნულია ქუთაისში კურთხევა ქუთაისის სამეურნეო სკოლისა, რომელიც 1 დეკემბერს გაიმართა. ამ დღისთვის მოწვეულნი არიან სპპატიო წარმომადგენელნი საერო, სამხედრო და სასულიერო უწყებისანი. ჩვენს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ქუთაისის განყოფილებამ აცნობა ეს ამბავი და სთხოვა, რომ სასურველია, თქვენი წარმომადგენელიც დაეწროს ამ დღესასწაულსა. პარაკლისის გადახდის შემდეგ სკოლის მზრუნველი ს. ქ. ხოჯაშვილი უამბობს დამსწრეთ სკოლის გამართვის ისტორიას. დასასრულ წარმოთქმულ იქმნება სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამეურნეო სწავლა-განათლებას ქუთაისის გუბერნიისათვის და რა ურთიერთობა სუფევს ერთის მხრით სკოლასა და მეორეს მხრით ადმინისტრაციასა და საზოგადოებას შორის.

*** 9 დეკემბერს, დილის 10 საათზედ, იკრებლის ქუჩაზედ, მე-9 პოლიციის განყოფილებაში, პოლიციელმა ეფენტმა სიღნაღის მცხოვრებელ ძმ. ახმეტელაშვილის დუქანში იპოვნა მთელი ბრბო ქურდებისა, 6 კაცისაგან შემდგარი. ოთხნი-კი დაპატიმრებულ იქმნენ: სიღნაღის მაზრის მცხოვრებნი გლეხნი ვასილ ქიტიაშვილი, სფირიდონ კოჯაშვილი და ძმანი ზალიკო და ალეკსი ახმეტელაშვილები. ამათ აღმოაჩნდათ 640 მანეთის ოქროსი, ვერცხლისა და სხვა ნივთები. ზოგიერთი ამ ნივთთაგანი მოპარულია რკინის გზის მოხელე ხოშტარიასაგან და ტფილისში მცხოვრებ კეკე თოფურიასაგან. ერთი დაჭერილთაგანი გამოტყდა, რომ სულ ექვსნი ვიყავითო, ორნი—ჯალითოვი და მანჯგალაძე—დაიმალნენო. მანჯგალაძე გუშინ დაპატიმრეს კიდეც, ჯალითოვს-კი პოლიცია ამ ჟამად დაეძებს.

*** ქალაქის თვით-მართველობასა და კავკასიის სამოსწავლო ოლქს შორის ასტყდა მიწერ-მოწერა ამ ათის წლის წინად იმის შესახებ, რომ ვითომც ქალაქის თვით-მართველობას არა აქვს უფლება თავისი პირველ-დაწყებითი სასწავლებლები მიანდოს ცალკე სამოსწავლო კომიტეტს და მოვალეა ჰყვედეს მხოლოდ ერთი გამგე კაცი, რომელიც პასუხის-მგებელი უნდა იყოს მთავრობის წინაშე, გარდა ამისა, დირექცია თხოულობდა, რომ სამოსწავლო საგნების განაწილება და გაკვეთილების დანიშვნა სხვა და-სხვა დღეისათვის სასწავლებლების გამგე კომიტეტი დაეკითხოს დირექციასაო. ქალაქის საბჭო წინამდეგი იყო ასეთის გარდაწყვეტილებისა. საქმე გარდაეცა განსახილველად საგუბერნიო მართველობას, რომელმაც, თანახმად სამოსწავლო ოლქის აზრისა, დაადგინა, რომ ქალაქის სასწავლებლები, როგორც კერძო სასწავლებლები, უნდა ებაროს ერთს კაცს და არა კოლეგიასაო. ქალაქის მოურავმა 1885 წელს საჩივარი წარუდგინა უმაღლესს მთავრობას საგუბერნიო მთავრობის გარდაწყვეტილებაზედ. დღეს ქალაქის გამგეობამ მოუვიდა სენატის ბრძანება, რომელშიაც, სწერია, რომ ქალაქის სასწავლებლები უნდა შეუთანაბრდეს კერძო სასწავლებლებს და ამიტომ ქალაქს შეუძლიან განაგოს თავისი სასწავლებლები როგორც ერთის კაცის შემწეობით, აგრეთვე მთელის კოგნის შესახებ მოსალაპარაკებლად. თუმცა ბ-ნმა ჩიკვაიძემ ამ კრების წინაშე დიდი უვიცობა გამოიჩინა ბანკის საქმეებისა, მაგრამ რადგან მაინც ბანკის მმართველი იყო და ბანკის ყველა საქმეები ხელში ჰქონდა, კრებამ იმას მიანდო შეემუშავებინა გუბერნატორთან წარსადგენი ქალაქი. ბ-ნმა ჩიკვაიძემ იკისრა ამ ქალაქის შედგენა, მაგრამ დღეს-ხვალობით მხოლოდ კარგა ხანს შეაჩერა ბ-ნი გუბერნატორი, ვერავითარი ქალაქი ვერ შეადგინა და ბოლოს უარიც განაცხადა. ბ-ნი გუბერნატორი მეტს ვეღარ მოიცდიდა და ისე გაჰგზავნა თავისი პასუხი, რომ ჩვენის ბანკის მმართველების შეხედულობა ამ საგანზედ თვალით ვერ იხილა. ამ ბობენ, მთავარ-მართებელს თავისი აზრი მხოლოდ ამ მოკლე ხანში გაუგზავნია ტფილისიდგან და პეტერბურგში საქმე როდის გადაწყდება, ღმერთმან უწყის. ამ ნაირად ბ-ნ ჩიკვაიძის მეოხებით ეს ჩვენი საქმეები დღემდე დაბრკოლებულია. ახლა ვნახოთ, რამდენი ზარალი მიეცა ბ-ნის ჩიკვაიძის წინ-დაუხედაობით ჩვენს ბანკსა და რა შევიწროებული შედეგი ჰქონდა ამას მსესხებელთათვის!

მ. ხ—ლი

დგან სჩანდა, რომ, როდესაც ერთმა იმათგანმა, ვისაც სესხის ჟურნალებიც წარდგენილი იყო პეტერბურგში და, ბ-ნ ჩიკვაიძის დეპეშის თანახმად, უკვე დამტკიცებული უნდა ყოფილიყო, ითხოვა მიეცათ მისთვის სესხი. გამგეობამ ვერ გაჰბედა სესხის მიცემა, უარი უთხრა: სანამ ქაღალდებს არ მივიღებთ, სესხს ვერ მოგცემთო. ეს მაშინ, როდესაც საზოგადო გამგეობა საჭიროდ არ სთვლის ნება-დართული სესხის მისაცემად ოფიციალურის ქაღალდების მიღებას, თუკი სანდო კაცისაგან მიიღებს პეტერბურგიდგან ცნობას, რომ სესხი ნება-დართულიაო. ბანკირ ვაველბერგის აგენტის დეპეშა, რომ სამინისტრომ სესხის ნება მოგცეთო, გამგეობას. საკაოდ მიაჩნია და თავის ბანკის მმართველის დეპეშაას-კი ვერ ენდო *)! ამასობაში ჩამოვიდა ბ-ნი ჩიკვაიძე, მაგრამ არავითარი ქაღალდები მას თან არ ჩამოუტანია. მსესხებლებს ეუბნებოდნენ, ქაღალდები დღეს-ხვალ, იმ კვირაში, ამ თვის დამლევს ჩამოვაო. ბევრი კიდევ იცდიდა, ბევრს-კი მოსწყენდა ლოდინი, ეძვი შეეპარა გულში და ტფილისის ბანკს მიაშურეს. ბ ნ ჩიკვაიძეს არავითარი მოხსენება არ წარუდგენია ბანკის გამგეობისა და ზედამხედველის კომიტეტისათვის მინდობილ საქმეების შესრულების შესახებ. მან გამგეობას მისცა მხოლოდ დაბნეული სიტყვიერი განმარტება და ამტკიცებდა, ყველა ჩვენი თხოვნა შეწყნარებულიაო, მაგრამ ამ განმარტებით უფრო-კი ის სჩანდა, რომ არც ერთი ჩვენი თხოვნა ჯერჯერობით შეწყნარებული არ იყო. დაწერილი მოხსენება ბ-ნ ჩიკვაიძეს იქნება მისთვისაც, არ წარუდგენია, რომ დაწერილს სიტყვას ვეღარსად წაუხვალ, ვეღარ შესცვლი და ვეღარ გადაასხვაფერებ! ბოლოს მოვიდა პეტერბურგიდგან ცნობა, რომ ის რამდენიმე სესხი, რომელთ ჟურნალები წარდგენილი იყო, დამტკიცებულ იქმნა მომავალ კრედიტის ანგარიშშია. სხვა ჩვენ თხოვნათა შესახებ-კი დღემდისაც საბოლოოდ არაფერი გადაწყვეტილა. აღმოჩნდა, რომ არა მარტო ბათუმის მაზრის შესახებ, არამედ ყველა სხვა ჩვენის თხოვნის შესახებაც მთავარ-მართებლისა და ადგილობრივ გუბერნატორის აზრის შეტყობა უცვნიათ საჭიროდ და მხოლოდ იმათის აზრის მიღების შემდეგ შეიძლება სამინისტრომ დადგინოს ჩვენთვის სასურველი გარდაწყვეტილება.

მაგრამ ბ ნ ჩიკვაიძეს მაინც არ უნდოდა გამტყდარიყო. როდესაც მაისში საზოგადო კრებაზედ ჰკითხეს, რა პასუხი მოიტანეთ, ან თუ ნახე მინისტრი, ან თუ შეწყნარებულ იქმნა ჩვენი თხოვნებიო. მან ძალიან გაკრულ-გამოკრული პასუხი მისცა კრებას: „პეტერბურგში მინისტრებიც ვნახე და მათი უფროსიც!“ სთქვა მან: ყველა ჩემი თხოვნა შეიწყნარესო, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ დიდი შემწეობა მოგცაო, საქმე გადაწყვეტილია კიდეც და ქაღალდებს მალე მივიღებთო, აქედგან ოღონდ გუბერნატორის ქაღალდი უნდა წავიდესო“. ვინც საქმის გარემოება ცოტათი მაინც იცოდა, ისინი, რასაკვირველია, კარგად მიხვდნენ, რომ თუ გუბერნატორს ახლა ჰკითხავდნენ აზრს, მაშასადამე, ჩვენი საქმეები გადაწყვეტილი არა ყოფილა. მაგრამ, მართალი უნდა ვთქვათ, რომ კრებაზე ეს ძალიან ბევრმა ვერც გაიგო. ბევრი კიდევ დღითი-დღე ელოდა სამინისტროდგან ქაღალდების მოსვლას. ამასობაში მთავარ-მართებელს პეტერბურგიდგან დაეკითხნენ ამ საქმეების შესახებ და ისიც ოთავის მხრივ ქუთაისის გუბერნატორის აზრი მოითხოვა. ბ-ნი გუბერნატორი თანგრძნობით მოეკყრო ჩვენს თხოვნებს და მიანდო საგუბერნიო სამმართველოს სოვეტნიკს ბ-ნ ასათიანს შეეკრიბა კერძო კრება ბანკის საქმეების მცოდნე კაცთა ამ საბ-ნი ჩიკვაიძე, მაგრამ ამ ბ-ნმა ჩიკვაიძემ ამ კრების წინაშე დიდი უვიცობა გამოიჩინა ბანკის საქმეებისა, მაგრამ რადგან მაინც ბანკის მმართველი იყო და ბანკის ყველა საქმეები ხელში ჰქონდა, კრებამ იმას მიანდო შეემუშავებინა გუბერნატორთან წარსადგენი ქაღალდი. ბ-ნმა ჩიკვაიძემ იკისრა ამ ქაღალდის შედგენა, მაგრამ დღეს-ხვალობით მხოლოდ კარგა ხანს შეაჩერა ბ-ნი გუბერნატორი, ვერავითარი ქაღალდი ვერ შეადგინა და ბოლოს უარიც განაცხადა. ბ-ნი გუბერნატორი მეტს ვეღარ მოიცდიდა და ისე გაჰგზავნა თავისი პასუხი, რომ ჩვენის ბანკის მმართველების შეხედულობა ამ საგანზედ თვალით ვერ იხილა. ამ ბობენ, მთავარ-მართებელს თავისი აზრი მხოლოდ ამ მოკლე ხანში გაუგზავნია ტფილისიდგან და პეტერბურგში საქმე როდის გადაწყდება, ღმერთმან უწყის. ამ ნაირად ბ-ნ ჩიკვაიძის მეოხებით ეს ჩვენი საქმეები დღემდე დაბრკოლებულია. ახლა ვნახოთ, რამდენი ზარალი მიეცა ბ-ნის ჩიკვაიძის წინ-დაუხედაობით ჩვენს ბანკსა და რა შევიწროებული შედეგი ჰქონდა ამას მსესხებელთათვის!

მ. ხ—ლი

---

*) იმის დასასურათებლად, თუ რა ნდობა აქვს ბ-ნ კალ. ჩიკვაიძეს თავის მახლობელთა შორისაც-კი, საკმაოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. ამ უკანასკნელ მაისის კრებაზედ ბ-ნი ჩიკვაიძე სცდილობდა დაერწმუნებინა კრება, რომ ბანკის საქმეებში არავითარი ბოროტ-მოქმედება არ არის და, სხვათა შორის, ჩვეულებრივ სხარტულად სთქვა: „მოგეხსენებათ, თ. ასლ. წ—ძე ჩემი კარგი მეგობარია. ამას წინად ისიც მოვიდა ჩემთან და მითხრა: კალისტრატე, შენ, მგონი, რაღაც უბედურება შეგმთხვეეთაო; ნუ მიმალავ, იქნება ბანკის ფული შემოგეგზავნა; გამიტყდი, ხომ იცი, მე არ გაგაშიჯლო. მე მივუგე: ა—ან, შენ არამც თუ ფულის შემოხარჯვას, კაეიც რომ მოგკლა, იმასაც-კი არ დაგიფარავ და დარწმუნებული ვიქნები, რომ ჩემს სიიდუმლოს შეინახავ-მეთქი, მაგრამ ღმერთმანი-ხატმანი-ჯვარმანი, არც არაფერი დამიხარჯავს, არც არაფერი მომიპარავს-მეთქი“. თუ-კი კარგმა მეგობარმა იმისთანა გადამეტებული ეჭვი მიიტანა ბ-ნ ჩიკვაიძეზედ და პირში გაუმეღვენა ეს თვისი ეჭვი და თუ-კი ჩიკვაიძეს ეს სიტყვები საწყენადაც არ მიუღია, მაშ ჩვენ რაღად უნდა გაგვამტყუნოს, რომ არა გვქონდეს ნდობა ბ-ნ ჩიკვაიძისა?

ლეგიისაო. ამ მხრივ ქალაქის თვითმართველობას სრული უფლება აქვს იქონიოს სამოსწავლო კომიტეტი, ხოლო რაიცა შეეხება გაკეთილებრივ განწყობილებასა და დანიშვნას, ეგ ხელშეუხებელი უფლებაა სამოსწავლო ოლქისა და ამ მხრივ უარ-ყოფილ იქმნას საჩივარი ტფილისის მოურავისაო. უკეთუ სამოსწავლო ოლქის მიერ განაწილებული გაკეთილები არ მოეწონება ქალაქის თვით-მართველობას, მაშინ შეუძლიან კანონის ძალით საჩივარი შეიტანოს სენატშიო.

*** ახალ-სენაკი: 11 ამა დეკემბერს დანიშნულია კრება „სამეგრელოს წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს“ დამაარსებელთა. იქნება ღმერთმა ინებოს და შემდეგში უკეთესად მოეწყოს საქმე ამ ქვეყნისათვის სასარგებლო დაწესებულებისა. კარგი იქნებოდა, რომ ეხლა მაინც გამოირკვეს აწინდელი და წარსული მდგომარეობა წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსი. ჩვენის მხრით-კი მოვალეობად ვრაცხთ გაცნობოთ, რომ აქამომდე ამ საზოგადოებას სახელი ჰქონდა და სახელის გასამართლებელი-კი არაფერი. თითქმის არც ვინმე დადიოდა სამკითხველოში, არც რაიმე საკითხავი მოიპოვებოდა შიგ და არც პატრონი ვინმე ჰყავდა. აქამომდე არარაიმე კრება არ მომხდარა წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს დაარსებისა და მისის განგრძობის შესახებ. არავინ იცის როგორ იქმნა არჩეული ეხლანდელი მისი გამგე, რამდენი შეჰკრიბა შესწირავი ფულად, თუ წიგნებად, ან როგორ მოიხმარა და როგორ უკლის და ინახავს საზოგადო ქონებას? სრული იმედი გვაქვს, რომ მომავალ 11 დეკემბრის კრებაზედ გამოირკვევა საქმის გარემოება და ყოველივე ავი და კარგი ამ დაწესებულებისა.

*** გუდაუთი (აფხაზეთი): რამდენიხანია გვინდა ჩვენი ერთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასიანად გადავაკეთოთ. შემოწირულობაც გროვდება ამ აზრით. უკვე რამდენიმე მანეთი შეგროვილია. ეხლა გოდფრუას ცირკის წარმოდგენა იყო გამართული ამ აზრით და შემდეგ რუსული წარმოდგენა. სამწუხაროდ, სკოლაში ქართულის ხსენება არ არის, თუმცა უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა ქართველები არიან.

*** სიღნაღი: მთელს ჩვენს მაზრაში სიღნაღიანად 88,000 მცხოვრებელია და ამოდენა ხალხს სულ სამი სამკითხველო აქვს: ქვემო-მაჩხაანში, გურჯაანს და სიღნაღში; პირველ ორის შესახებ ვერას ვიტყვით, რადგან არ ვიცით; რა ყოფაშია რაიცა შეეხება სიღნაღის სამკითხველოს, უნდა მოგახსენოთ, რომ მისი ყოფა საზარელი ყოფაა. თითქმის აღარაფერი არ არსებობს. ეს სამკითხველო იყო დაარსებული წიგნის მაღაზიასთან და პირველ ხანში ურიგოდ არ მიდიოდა მისი საქმე, თუმცა მსურველნი იქ წიგნის კითხვისა ძალიან ნაკლებად იყვნენ პირველ ხანშიაც. სამკითხველო კარგად იყო მოწყობილი, წიგნებიც საკმოდ იყო, მაგრამ ვერაფერმა ვერ მიიზიდა დახშული ცხონის - მოყვარეობა ჩვენებურის კაცისა. ამ ბოლოს დროს ხომ სულ უკუღმა დატრიალდა სამკითხველოს საქმე. ნეტავ რას ჭფიქრობს მისი დამფუძნებელი ამხანაგობა? მეტის-მეტად სამწუხაროა ჩვენი მდგომარეობა. იმერეთ-გურიისკენ სოფლებშიაც-კი იმართება სამკითხველო და ჩვენში ქალაქ აღგილსაც ვერ დაუჭერია თავი, მეტი ცეცხლი გინდათ?!.

*** სომხურ გაზეთ „არძაგანქის“ სიტყვით, ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს სხვა-და-სხვა უსაქმო ხალხს აგილები მოუძებნოს, დაეარსოს თავშესაფარი სადგომები მოხუცთა, უძლურთა და ყმაწვილებისთვის და იაფ-ფასიანი სასადილოები, სხვა-დასხვა ხელოვნა ასწავლოს მსურველთ, სასარგებლო ცოდნა გაავრცელოს ხალხში, კვირაობით სახალხო ლექციები იკითხოს, იაფი წიგნთ-საცავები იქონიოს და სხ. ამ საზოგადოების წევრად მიიღებიან ქალნიცა და კაცნიც. საწევრო გარდასახადი ორ გვარია დაწესებული, წელიწადში სამი და ექვსი მანეთი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

გაზეთ „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილია გ. მ—ს ფელეტონი ქუთაისის ბანკის საქმის, შესახებ რომელშიაც სვხათა შორის სწერია:

ამბობენ, დარახველიძე და ნიკარაძე კომიტეტს უბრუნდებიან და განზრახვა აქვთ პარტიის სურვილს ემსახურონო. ეხლა ეს ვიკითხოთ, რომელ სურვილს ემსახურება ჩვენი სახელ-განთქმული სამება, თუ არა პარტიი სურვილს? პარტიის სურვილისთვის სამსახური საძრახისი არ არის, საქმე მხოლოდ ისაა, რა აქვს საგნად პარტიას—საკუთარი სურვილი, თუ საზოგადო, კეთილი განზრახვა, თუ ბოროტი? მე ვამტკიცებ, მაგალითად, რომ ის განზრახვა, რომელსაც ემსახურება ჩვენი სამება, წინაალმდეგია საზოგადოების სურვილისა, ვამტკიცებ, რომ მისი მოქმედება ბანკსა ჰლუპავს და თვით საზოგადოების ზნეობას ამცირებს. ესეც არ კმარა: მე ვკისრულობ ყველა ეს დავამტკიცო ნათლად, საჯაროდ, წინაშე მთელის საზოგადოებისა, თუკი თუნდ ერთი წევრი ამ სამებისა გაჰბედავს და საჯაროდ, გაზეთის შემწეობით, უარსა ‖ყოფს ჩემ მიერ გამოთქმულს აზრს.

„აი საუკეთესო საშუალება: თითოეულმა მთგანმა წერა კარგად იცის, ყველანი უნივერსიტეტში სწავლა დამთვრებულნი არიან და, მაშასადამე, შეუძლიანთ თავისის აზრის დაწერა; იმედი მაქვს „Нов. Обоз.“-ს რედაქცია აღგილს დაუთმობს იმათ პასუხს თავის გაზეთში. მაშასადამე მათ საშუალება აქვთ, თუ შეუძლიანთ, დამიმტკიცონ, რომ თავის საკუთარ ინტერესებისთვის არ იბრძვიან, წინაალმდეგ საზოგადოების ინტერესებისა და რომ ჩემი სიტყვა, მართალი არ არის. ამას მოითხოვს არამც თუ მათი პატიოსნება, ამასვე მოითხოვს ინტერესი საზოგადოებისა, თუ ეს ინტერესი მათ ულირთ რამედ. დროა დაკმაყოფილონ აღელვებული საზოგადოება, დროა საქვეყნოდ გამოირკვეს ის საქმე, რომელმაც გამოიწვია ამდენი უთანხმოება და უსიამოვნება. საზოგადო საქმე უნდა გადასწყდეს საზოგადო საშუალებითვე ე. ი. გაზეთის შემწეობით. აქ ყოველად შეუძლებელია ვისმე სიმართლისა ანუ უსამართლობის დამალვა: საქმე თავის თავად გამოირკვევა და თვით საზოგადოება გაასამართლებს ამ საქმეს და ხელთ ეპყრობა უტყუარი საბუთები და არა ათას გვარი ჭორები. ბანკის წევრთა საზოგადო კრებამდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ჯერ არც-კი ვინმემ იცის, როდის მოხდება, მაშასადამე, ჯერ კიდევ საკმაო დრო არის“...

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

შინაარსი პიესისა „გლახაკნი სულითა“. მშვენიერი ქალი კონდოროვისა სცხოვრობს სამსახურიდგან გადამდგარ კავალერისტ ალექსანდრე კარაბანოვთან, რომელსაც საყმარმაზო სახლი აქვს გამართული და გულ-უბრყვილო ხალხს ატყუებს, ქალღლდში ფულს უგებს. პირველს მოქმედებაში აშკარადა სჩანს, რომ კონდოროვისასა და კარაბანოვს შორის არავითარი სიყვარული არ არსებობს. პირ იქით, კონდოროვისას უყვარს ახალგაზდა ალეკინი, რომელიც ამათ სახლში დადის. კუდრაევს, კარაბანოვის დამხმარესა და ხელ-შემწეს ყომარბაზობაში, იმასთან მოჰყავს შეძლებული ვაჭრის შვილი სივოდუშინი გასაფცქვნავად. თამაშობენ ქალღლდს. კონდოროვისას არ უნდა, რომ მისი სატრფო ალეკინი გაჰყვლიფონ. თითონ დაიწყებს თამაშობას და ქეზრდობაში დაიჭერს კარაბანოვს. კარაბანოვი ყმაწვილს ქალს მუქარას დაუწყებს, ალეკინი გამოესარჩლება, ჩემი საცოლოაო და გაჰყავს.

მეორე მოქმედება. ალეკინის მშობლების სახლია. ალეკინის, დედა ცნობილი ქველ-მომქმედი, ფულს ჰკრეფს ამ აზრით. ამ ქალს საშინლად სძულს კონდოროვისა, რომელსაც სადღაც საზოგადოებაში შეურაცხება მიუყენებია მისთვის. ალეკინის მამა შეიტყობს, რომ ჩემი შვილი ამ ქალს ირთავსო, და საშინლად აღელვებულია. არიგებს შვილს, ნუ იქ მაგ საქმესაო. ვერ დაუყოლიებია. ყმაწვილი კაცი დიდად შეშფოთებულია და სადღაც მიეჩქარება. ამას შემდეგ ძალათი შემოდის კონდოროვისა და თავისის სატრფოს მამას ემუდარება, თქვენს შვილსა და კარაბანოვს დუელი აქვსთ და ჩაშალეთ ეს საქმეო.

მესამე მოქმედება. საგზარაკო სახლია ახალგაზდა ალეკინისა, რომელსაც კონდოროვისა შეურთავს. ქმარი, კარგა ხნის შემდეგ, აქეთ-იქით დადის, ცოლი-კი მარტოა სახლში. კონდოროვისს გაგიჟებით უყვარს თავისი ქმარი, ალეკინს-კი გული გაჭგრილებია, რადგან საზოგადოება სდევნიდა თურმე, სახელ-გატეხილი ქალი რად შეირთეო, და ახლოს არ იკარებდა. ყმაწვილს კაცს გაიტაცებს ვიღაც მოდერალი ქალი გრასიე, რომელსაც საზღვარ-გარედ გაჰყვება. კონდოროვისასთან მოდის უწინდელი საყვარელი კარაბანოვი და ეუბნება დაცინვით, რომ შენი ჩიტი გალიიდგან გაფრინდა და სხვა გზა ალარ დაგრჩენია, ისევ მე უნდა დამიპრუნდეო. მართლაც სახლში დატოვებულ წერილიდგან კონდოროვისა შეიტყობს, რომ ქმარს სამუდამოდ თავი დაუნებებია. ყმაწვილი ქალი პირველად საშინელს სასოწარკვეთილებაშია, მაგრამ ბოლოს კუდრიაევს მისდევს სასეირნოდ და განაცხადებს, რომ მე ისევ ის კანდოროვისა ვარ, გზა დაბნეული ცხოვარიო.

მეოთხე მოქმედება. სასტუმროში შამპანურის ღვინით დროგბას ატარებენ კარაბანოვი, კონდოროვისა, კუდრიაევი. აქვე მოდის სივოდუშინი, რომელიც მამას სრულიად გამოჰქცევია და ლოთობს. შემოდის შეზარხოშებული ალეკინა, რომლისათვისაც სატრფოს თავი დაუნებებია. ალეკინი სახეზედ სულ ერთიანად შეცვლილია, ჯან-გატეხილი, ცხოვრებით მოღალული. მამა დაუმარხავს, მამული ჩაუბარებია და ისევ საზღვარ-გარედ აპირებს წასვლას. დაუწყებს ლაპარაკს თავის ცოლს. ადრესს აძლევს, თუ ვინაცობაა გული მოგიბრუნდეთ როდისმე ჩემსკენ ‖ მაპატიოთ, დიდის სიამოვნებით მიგიღებთო. ყმაწვილი ქალი დაჰხევს ადრესს, თუმცა, როგორც ეტყობა, ძალიან უყვარს თავისი ქმარი. ალეკინი ბარბაცით გადის, ამბობს, ჩემი კალო გალეწილიაო, მამა დავმარხე და ჩემს თაოსაც ჩქარა დავმარხავო. ბოშების ხორო შემოდის და ჰგალობს. კონდოროვისა ისე მოიმზიარულებს ძალათი თავს, რომ სცეკვავს კიდეც. ცეკვის დროს უცბად დაიკივლებს და გულ-გახეთქილი უსულოდ დაეცემა.

ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲐᲜᲘ

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენს გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემორე მოხსენებული, რომელთაც შემოსწირეს ტორძნისის სამრევლო სკოლას:

ალეკსი დიმიტრის ძე ზერეკიძემ 50 მან., ჩინოვნიკმა იაგოროვმა 3 მან., დავით კიკნაძემ 2 მან., მღვდელმა იოანე ლომაურმა 3 მან., გიგო თიბილაშვილმა 1 მან., მელქო ავთანდილოვმა 1 მან.

მარიამ როსტომის ასულ სულხანიშვილის თაოსნობით იქმნა შეკრებილი: პავლე ყიფიანისაგან 3 მან., კოტე მესხიევისაგან 3 მან., სოფიო ყიფიანისაგან 2 მან., ლიზა მჯაღლოვისაგან 1 მან. 5 კაპ., ელენე ელიოზოვისაგან 1 მან., ზაქარია ფალავანდოვისაგან 1 მან., მათიკო ორბელიანისაგან 3 მან., პეტრე ყიფიანისაგან 3 მ., მიწის-მზომელ სტუპნიკოვის მეუღლე ანნა მიხეილის ასულისაგან 8 მან.

ტორძნისის სამრევლო სკოლის მმართველი, მღვდელი სფირიდონ კასრაძე

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

I

უმორჩილესადა გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნა ნიკიტის საბაღლისნო და მეღვინეობის სასწავლებლის მოსწავლეს მიხეილ ქარცივაძეს და იქვე მუოფ მოვაჯიშეს ლ. გოგნაშვილს, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმენებულს წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლას: პირველმა სხვა-და-სხვა მცენარის თესლთა კოლექცია, ღირებული 15 მან., და მეორემ ვაზების ფოთოლი გერმანიით.

მმართველი სკოლისა არ. ტყემალაძე

II

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით უკულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ იმათ, რომელთაც შემოსწირეს ლატარიისთვის ნივთები მცხეთის საჯარო სამკითხველოს და წიგნთ-საცავის სასარგებლოდ:

გიორგი მრევლიშვილმა ნიკელის საათი; კნიაე. ელენე ჯორჯაძემ ოქრო-მკედით დახატული მდინის ბალიში ატლასსზზე; კნიაე. სონა ციცეშვილისამ დინის ბალიში, ნაკერი ატლაზზე და მორიული ოქრომკედით; ანნა კოლიევისამ ოქრომკედით შეკერილი ჩარჩო კაბინეტის სურათისათვის; დარია მრევლიშვილისამ ატლასზზე შეკერილი სათუთუნე; კნ. ბარბარე გედევანიშვილისამ ოქროს გულის ქინძისთავი; ალექსანდრე მრევლიშვილმა სურათი თვის მიერ დახატული; კნ. ლევან გედევანიშვილმა ოქროს ბეჭედი ფირუზებით; ანსატასია მიქელოვისამ რუსული წიგნი მშვენიერის ყდით („Русскія былины съ картинами г. Рябинина“); კნ. მარიამ გედევანიშვილისამ მშვენიერი, ხელოვნურად გაკეთებული საქსონის საკარაქე, სარძევე და ლიტრა. კნიაე. მარიამ გედევანიშვილისამ მოქსოვილი მშვენიერი ქისა; მარიამ ახსაბაძემ ვერცხლის გულის ქინძისთავი; მარიამ კახაბერმა ოქრ. ბეჭედი ძვირფასის ქვით. მცხეთის დედათა მონასტრის სკოლის შეგირდებმა ერთი წყვილი, ხელოვნურად გაკეთებული ლამფის დასადგმელი, X. X. დიდი ოლეოგრაფიული სურათი პროფესორ ორლოვსკისა. პროკოპი ბარისაშვილმა თეატრის დურბინდი თავისივე ბუდით.

გამგეები მცხეთის საჯარო სამკითხველოს და წიგნთ-საცავისა სოფიო ციცეშვილი, პროკოპი ბარისაშვილი

რუსეთი

გაზეთი «Новости» იუწყება, რომ რუსეთის მკურნალთა საზოგადოების მეხუთე კრებაზედ პიროგოვის პატივსაცემლად სენატორი ა. კონი წაიკითხავს მოხსენებას: „ექიმის ექსპერტის მნიშვნელობა სასამართლოში და მისი მოქმედება“ და ი. კ. ბარტენსონის მოხსენებას «საიდუმლო ექიმთა სამართალისა, ადმინისტრაციისა და საექიმო ეტიკის მიხედვით».

—

იაროსლავის თავად-აზნაურობამ მიჰმართა მთავრობას და სთხოვა, სათავად-აზნაურო ბანკთან დააარსდეს დასაზღვევი დაწესებულება, რომელშიაც დაზღვევა მამულებისა შეეძლება ყველა მსურველს თავად-აზნაურთა და, გარდა, ამისა ამავე დაწესებულებაში მიიღება დასაზღვევად ბანკის იმ მსესხებელთა მამულები, რომელნიც მოვალენი იყვნენ დაეგირავებინათ ეს მამულები, მაგრამ დროზედ არ დაუგირავებიათ. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამად ურთიერთის ნდობით დაზღვევის კანონ-მდებლობას განხილავშია. 1888 წლის დამლეგს საერობო დასაზღვევი თანხა იყო 281.52,000 მანათი, ამაში 25.700,000 მანათი სავალდებულო დასაზღვევი და 2-452,000 მანათი ნება, ყოფლობითი.

უცხოეთი

საფრანგეთი. «Figaro» ამბობს: საერთაშორისო მოლაპარაკებას ანარხისტთა შესახებ საგნად ისა აქვს, რომ ანარხისტები წავალენ თუ არა სადმე, სახელმწიფოებმა ერთმანეთს შეატყობინონ ეს ამბავი და ხელი წარუმართონ იმათს დაპატიმრებასაო.

—

საფრანგეთის პალატაში აფეთქების შემდეგ კრებამ ჯერ სამადლობელი აღრესი მიართვა დიუპუის იმ

გმირობისათვის, რომელიც გამოიჩინა შაბათს პალატის დარბაზში აფეთქების დროს. შემდეგ პალატას კაზმირ პერიემ წარუდგინა თავისი ოთხი კანონ-პროექტი ანარხისტთა წინააღმდეგ ღონის-ძიებათა მისაღებად და სთქვა:

„საპიროა ვდევნოთ ისინი, ვინც ბოროტ-გამზრახველთ აქეზებს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ისინი უნდა ვდევნოთ, ვინც თითონ გადაუდგა საზოგადოებას (ტაშის ცემა). ყველა ფრანგთაგან უნდა დაარღვეს დასი პატიოსან კაცთა (ტაშის ცემა). არასოდეს ისე საპირო არ იყო ერთობა მთავრობასა და პარლამენტს შორის, როგორც ეხლაა (ტაშის ცემა). მთავრობა შესძლებს თვისი მოვალეობა ასარულოს: წეს-რიგი ჩამოაგდოს თვით საფრანგეთში და კარგი სახელი დაიმსახუროს საზღვარ-გარეთ (ხანგრძლივი ტაშის ცემა). მთავრობა ითხოვს აღიარებულ იქმნას აუცილებელი საპიროება ყველა ამ პროექტისა და შეცვლილ იქმნას კანონები ბეჭდვითის სიტყვის შესახებ.

გობლე. მეც ჩემს მოვალეობას შევასრულებ და ვთხოვ პალატას, ნუ გასწირავს ეგრე ადვილად საზოგადოების თავისუფლებას (პროტესტები ცენტრისა და მემარცხენეთა შორის). მე მაკვირვებს მხოლოდ ის, რომ აქამდე არავითარი ღონის-ძიება არ მიუღიათ და ეხლა-კი ასე უცბად თხოულობთ პროექტების განხილვას შაბათის კრებაზედ მომხდარ ინციდენტის გამო (ჩოჩქოლი).

დენოგლი. რატომ ბოროტ-მოქმედებას არ ეძახით მაგ ამბავსა.

გობლე. საპირო იყო მხოლოდ კარებში ერთი პოლიციელი დგგეყენებინა და ის ანარხისტი, რომელიც პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, პალატის დარბაზში ვერ შესულიყო (ჩოჩქოლი). მე წინააღმდეგი არა ვარ ახალ პროექტის განხილვისა, წინააღმდეგი ვარ მხოლოდ იმისი, რომ ეს პროექტი ახლავე იქმნას განხილული. ხომ კარგად ხედავთ, რომ ამ პროექტის უკამათოდ მიღება არ შეიძლება. თქვენ გსურთ, რომ ეს პროექტები უკამათოდ დამტკიცდეს. მე წინააღმდეგი ვარ მაგისი. პალატაში წარმოითქვა, მთავრობამ გმირობა არ დაჭკარგო. თუ ასეა, ნუ თუ ეხლა არ შეუძლიან ორიო დე დღე მოითმინოს? ან რა საქროა აჩქარება ამ საქმეში?

კაზმირ პერიე. ეს პროექტი უკვე განუხილავს პარლამენტს.

სმა მემარცხენეთა მხრიდგან. მართალია, მაგრამ პალატამ უარ-ჰყო ეს პროექტი.

კაზმირ პერიე. ასე რომ არ ყოფილიყო, არც საპირო იქმნებოდა პროექტის ეხლა განხილვა (ტაშის ცემა).

ცოტა ხნის კამათობის შემდეგ პალატამ გადაწყვიტა, ოთხივე პროექტი განხილულ იქმნას და მათ შორის პირველი დღესვე განვიხილოთო.

გასართობი

—

ერთსულ სვეტი ქალაქებსა კითხულობდა და სხვათა შორას სთქვა:

— ადამიანშეიძლის ყველაზედ დიდი ნაკლი სიამაყეა: იგი ამაყობს თავისას შთამომავლობითაც, სიმდიდრითაც, ჭკუითაც... რაც შეესება ამ უკანასკნელს თვისებას, თქვენ-კი, ჩემო პატეკეტმოლნო მსმენელნო, შეგიძლია ამ ბოლო ცოდვის ჩადენისა არავითარი შიში არ უნდა გქონდეთო.

**

მადრიდის დიდს ქუჩაზედ მოწყალებას თხოულობდა ერთ ძენძში გახვეული ხსოდგაზდა და ჯან-მოელი კაცი.

— როგორ არა გრცხვენიან, რომ ბოლსობ, როდესაც შრომა და მუშობა შეგიძლიან? ჭეთოს ერომს გამეტლეღმა.

— მოწყალეო ხელმწიფეო, მე ფულიმიწყარს და არა რჩეულ-დარგებისო, უპასუხა ამაყად მათხოვარმა.

**

ვენეციაში მოხდა ეს ამბავი. სასწელ-გასთქმელს ექიმთან მიიდა ერთი საუცხოოდ ჩაცმული, მაგრამ ფერად დაღურეშილი და ავადმყოფის სახის ამაწეული კაცი.

— რა ტკივილთ.

— ს�ელა მეწყვის.

— მაგ სნეულებას ბეერი წამალი აქვს! მოგზაურობა დაიწეთ.

— მოელი ევროპა მოვიარე.

— საზოგადოებაში სეირად იარეთ.

— ვენეციის საუკეთესო ოჯახთა კარი ჩემთვის ღიაა, მაგრამ სეენდა და ჭმუნვა იქიც თან დამდევს.

— გიყვართ ვინმე?

— ქალებმა დიდი სანაა თავი მომაბეზრეს.

— მუსიკა სეირად მოგისმენთ ხოლმე.

— ეოველ საღამოს მხოლოდ მუსიკის სმენაში ვატარებ.

— კარგი ღვინო სვეთ, ტოტა ფერთხალად-კი.

— სახლში საუკეთესო ღვინოები მიწყია, მაგრამ ვერ ვეკარები.

— მაშ ეი რა. ერთი საშუალებაც არის: წადით შესანანავ არტისტის ვედუტტის სან�სანად. ეს საუკეთესო მომღერადი ვის არ დაუყენებს კარგს ბენეფისზედ!..

— კაკლასმე! ვერც ეგ მიშველის რასმე, რადგან ის ვედუტტი მე თითონ ვარ.

გამოსადეგი ცნობა

—

ქაფურის შენახვა. ქაფური ძალიან სწრაფად ჭქრება ოთახ-ოდად, რის კამოტ რადესაც ხალიჩებსა, ბეწვეულს და სხვას ყურიან ჩაჩიდესაკენ შესანახად, ისე ხანგრძლივ ვეღარა ჭმოქმედობს. იმისათვის, რომ ბერე ჩქარა არ გაქრეს ოთახ-ოდან, ძალიან ადვილი საშუალება მოიძოებეს. ეს საშუალება დადგანს ანახავს ქაფურს და ამაში მდგომარეობს, რომ ამ ფამალში ჭეერიან ბალთიდს დაუნაყვეს, მარცვლად. ითიოდე მარცვალი საკმარისია, რომ ქაფურმა დადგანს დაიწყოს თავი და ოთახ-ოდან არ იქცეს.

დეპეშა

10 დეკემბერი

ბერლინი. გუშინ იყო უკანასკნელი კრება რუსეთ-გერმანიის სატამოლნო კონფერენციისა. შემდეგი კრება იქნება ბეღნიერ დღეებს უკან.

გლადსტონიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის აფიცრები, რომელნიც გამტყუენებულ იქმნენ ჯაშუშობისათვის, გუშინ დაიპატიმრეს.

ბელგრადი. სავაპრო ხელ-შეკრულობა რუსეთთან საკუთრივ-ნამ შეიწყნარა პირველ წაკითხვის შემდეგ.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბ.

	მოთხოვნილება	გაყიდვა	გაყიდული
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი იმპერატორის ბანკნოტი	7.61	7.63	— ,,
ბანკოვანი ბანკნოტი	152	152¾	— ,,
ფული . . .	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველი ნინა-განის სესხის მომგები ნილები . . .	— ,,	— ,,	246½
—მეორისა . . .		— ,,	220½
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	190
ბერძნობის ფურცელი ტფილისის ბანკისა 6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6% .	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დღ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ კაკადს:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეიღლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეიღლის ყველა ნავსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დღისით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკევობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეიღლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკევობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

—

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲘᲠᲐ-ᲣᲛᲔᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—136)

გამოსადეგი ცნობანი
პირველი ბერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობითი იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის ომათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩაქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. ბ. რუდგოვსკი, 10¼—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასეგიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ს. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობითი მიიღებენ:

ი. ბ. ჩეპურგოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. გურგო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცეუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ᲗᲝᲗ შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დარეკტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

СОЧ. ДОСТОЕВСКАГО
„НИВА“
БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ НА 1894 Г. ПРИ ЖУРНАЛѢ

подписчики „НИВЫ“ на ЮБИЛЕЙНЫЙ 1894 г. получатъ:

52 №№ журнала "НИВА" (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).

12 КНИГЪ соч Ѳ. М. ДОСТОЕВСКАГО.

12 ВЫПУСКОВЪ »Ежемѣсячныхъ литературныхъ приложеній«.

12 №№ „Парижскихъ модъ" (съ 300 модн. рис. въ годъ).

12 №№ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ (съ 600 рисунк. и чертежами въ теченіе года).

2 ОФОРТА профессора Ив. Ив. Шишкина.

КАРТИНА проф. Ю. Ю. Клевера «Островъ Наргенъ», отпечатан. 15 красками.

КАРТИНА художника Расмуссена „Неро-Фіордъ въ Норвегіи", отпечатан. 18 красками.

СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ, отпечатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

За годовое изданіе

„НИВЫ“

со всѣми приложеніями:

безъ доставки въ С.-Петербургѣ 5 р.
съ доставкою въ С.-Петербургѣ

безъ доставки въ Москвѣ чр. конт. Н. Печковской . . . 6 р.
съ пересылкою иногороднымъ 7 р.
За границу . . . . . 10 р.

Съ требованіями обращаться въ ГЛАВНУЮ КОНТОРУ журнала „НИВА“, СПБ., Невсій пр. № 6.

Допускается разсрочка платежа въ 2 и въ 3 срока

Въ Б. Жуковскій С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპეზისა.

ტრაპეზის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსს) ფუთს.

Ревель А. Брокгаузенъ

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქალალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.

Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Декабря 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ